დანართი N1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ანგარიში

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამსახურში შემოვიდა 1317 ზე მეტი წერილი აქედან 1024 ეკუთვნოდა ეკონომიკის სფეროს, 259 სოფლის მეურნეობის და ბუნებრივი რესურსების საკითხს. ქონების განკარგვის კომისიის მიერ განხილულ იქნა 34 საკითხი.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მუნიციპალიტეტმა საკუთრებაში მიიღო 5 უძრავი ქონება, რომელთა სავარაუდო ღირებულება შეადგენს 100000 ლარზე მეტს. ასევე დაწყებულია რამოდენიმე ქონება ქონებაზე გადმოცემის პროცედურები.

2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სამსახურის მიერ 34 ლოტზე გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, აქედან 23 არ შედგა. 2024 წელს აუქციონის შედეგად გაყიდული ქონებიდან მუნიციპალიტეტმა მიიღო 2 396 110 ლარი და იჯარით გაცემული ქონებიდან წელიწადში უნდა მიიღოს 12600 ლარი.

ბუნებრივი რესურსების კარიერებთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესუსების სამინისტროს თხოვნის საფუძველზე, გაიცა 32 რეკომენდაცია. ჯამურად თანხმობა გაცემულია 2 800 000 m^3 ქვიშა-ხრეშზე რომლის სალიცენზიო მოსაკრებლიდან შემოსავალი შეადგენს 560 000 ლარს სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში.

56 ერთეული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს შეეცვალა კატეგორია და გადაყვანილ იქნა არასასოფლოში, რითაც განმცხადებლებს მიეცათ შესაძლებლობა განახორციელონ სხვადასხვა კომერციული პროექტები. 62 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, რომლის საბალანსო ღირებულებამ შეადგინა 338 000 ლარი.